# საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ბრძანება № 01-08/115**

7 სექტემბერი 2018 წ. ქ. ბათუმი

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წელს მაგისტრატურაში მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 11 ივლისის N01-08/83 ბრძანებაში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანების, „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 07 ივლისის №59 დადგენილების, ,,2018-2019 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს მაგისტრატურაში მისაღები კონტიგენტის, პროგრამაზე ჩასაბარებელი შესაბამისი ტესტის ტიპის, მისაღები გამოცდების კოეფიციენტების და სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს 2018 წლის 2 თებერვლის №07 დადგენილების საფუძველზე,

*ვბრძანებ:*

1.,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წელს მაგისტრატურაში მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 11 ივლისის N01-08/83 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

**ა) ბრძანების 4.1. და 4.2. პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,4.1. **მისაღები გამოცდა უცხო ენაში** - 2018 წლის 12 სექტემბერი (დაწყების დრო: I ცვლა - $10^{00}$ საათი, II ცვლა - $14^{00}$ საათი; III ცვლა- $17^{00}$ საათი);

4.1.1. გამოცდის შედეგების გამოცხადება (ინფორმაცია კონკურსანტის პირადი ნომრების მიხედვით განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე) - 2018 წლის 13 სექტემბერი;

4.1.2. საპრეტენზიო განცხადებების მიღება ბსუ-ს კანცელარიაში - 2018 წლის 14 სექტემბერი (10:00სთ-დან 17:00 სთ-მდე);

4.1.3. საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის გაცემა (ინფორმაცია კონკურსანტის პირადი ნომრების მიხედვით განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე) - 2018 წლის 17 სექტემბერი.

**4.2. მისაღები გამოცდა სპეციალობაში** - 2018 წლის 20 სექტემბერი (გამოცდის დაწყების დრო: I ცვლა - $10^{00}$ საათი, II ცვლა - $14^{00}$ საათი; III ცვლა- $17^{00}$ საათი):

4.2.1. გამოცდის შედეგების გამოცხადება (ინფორმაცია კონკურსანტის პირადი ნომრების მიხედვით განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე) - 2018 წლის 21 სექტემბერი;
4.2.2. საპრეტენზიო განცხადებების მიღება ბსუ-ს კანცელარიაში - 2018 წლის 24 სექტემბერი (10:00სთ-დან 17:00 სთ-მდე);
4.2.3. საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის გაცემა (ინფორმაცია კონკურსანტის პირადი ნომრების მიხედვით განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე) - 2018 წლის 25 სექტემბერს.

**ბ) ბრძანების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5. გამოცდების საბოლოო შედეგები (ინფორმაცია კონკურსანტის პირადი ნომრების მიხედვით) გამოქვეყნდეს 2018 წლის 25 სექტემბერს, ბსუ-ს ვებგვერდზე და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე (ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. N32/35, მე-2 კორპუსის პირველ სართულზე), ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტის. მიერ მომზადდეს სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტი.

**გ) ბრძანების მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს $5^1$ და $5^2$ პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„$5^1$. მაგისტრანტობის კანდიდატებთან, სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე გაფორმდეს ხელშეკრულებები და მაგისტრანტობის კანდიდატების მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაცია გავლილი იქნეს (სწავლის საფასურის არანაკლებ 800 ლარი გადახდილი იქნეს) - **2018 წლის 26, 27, 28 სექტემბერს 15:00 საათამდე** (რეგისტრაცია დაიწყება დილის 10:00 სთ-ზე);

$5^2$. მაგისტრანტობის კანდიდატების რეგისტრაციისა და გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე მათი ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს 2018 წლის 28 სექტემბერს, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ არაუგვიანეს 2018 წლის 2 ოქტომბრისა აისახოს სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში.“

2. დაევალოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს უზრუნველყოს ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 11 ივლისის N01-08/83 ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში მაგისტრანტობის კანდიდატების რეგისტრაცია და ხელშეკრულებების გაფორმება.
3. დაევალოს იურიდიულ დეპარტამენტს ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 11 ივლისის N01-08/83 ბრძანებაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით მოცემული სამართლებრივი აქტის კოდიფიცირება.
4. დაევალოს კანცელარიას განათავსოს ბრძანება კანცელარიასთან და ფაკულტეტებთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
5. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე (დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ვებგვერდზე განთავსებული მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების შესახებ ინფორმაციის განახლება, წინამდებარე ბრძანებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით).
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

*რექტორი, ასოცირებული პროფესორი* *მერაბ ხალვაში*